

ვებგვერდი, 03/12/2014
სარეგისტრაციო კოდი
040030000.22.055.016045

**საქართველოს სპორტისა და
ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის
ბრძანება №01/1137
2014 წლის 3 დეკემბერი ქ. თბილისი**

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბავშვთა და
ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების
შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა
მინისტრის 2012 წლის 25 აპრილის N52 ბრძანებაში ცვლილების
შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2012 წლის 25 აპრილის N52 ბრძანების (ვებგვერდი, 27/04/2012, სარეგისტრაციო კოდი 040030000.22.055.016015) პრეამბულაში სიტყვები: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ბავშვთა ფედერაციის რეორგანიზაციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 5 ნოემბრის N617 ბრძანებულების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად“ შეიცვალოს სიტყვებით: „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 ნოემბრის N637 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის, მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სპორტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა მინისტრი

ლევან ყიფიანი